ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი

2020 წლის 30 ივლისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 33 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 32 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

6. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

7. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წლის დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი);

8. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2020 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, მ. ნადარაია, ლ. ცატავა, ი. გოგოლაძე, ფ. შონია, ი. სერგია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ტ. ალექსანდრია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ტ. ალექსანდრია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში მცირდება შემოსავლები 1007,3 ათასი ლარით. კერძოდ, 897,3 ათასი ლარით მცირდება შემოსავალი მუხლიდან „გადასახადები“, 110,0 ათასი ლარით - მუხლიდან „სხვა შემოსავლები“. მცირდება ხობის

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი პრიორიტეტის ხარჯები 487,3 ათასი ლარით. კერძოდ: პრიორიტეტის „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება“ ასიგნება მცირდება 333,3 ათასი ლარით; პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის“ ასიგნება - 150,5 ათასი ლარით; 3,5 ათასი ლარით - პრიორიტეტის „დასუფთავება და გარემოს დაცვა“ ასიგნება. 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით შემცირდა შემოსავლები გრანტებიდან 51,9 ათასი ლარით. ადგილობრივ ბიუჯეტში იზრდება შემოსულობები 580,0 ათასი ლარით, კერძოდ: იზრდება შემოსულობა მუხლიდან „არაფინანსური აქტივების კლება“ (მიწის პრივატიზებისგან). ასევე ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვის მიზნით იზრდება შემოსავლები „გრანტებიდან“ (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) 530,0 ათასი ლარით და მიიმართება პრიორიტეტის „განათლება“ მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდის“ ასიგნებაზე. გამოთავისუფლებული ასიგნებებიდან 60,0 ათასი ლარი მიიმართება „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ასიგნებაზე, აქედან 50 ათასი ლარი - „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „არასაცხოვრებელი შენობები“ ასიგნებაზე; 10,0 ათასი ლარი კი მიიმართება „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ხიდები“ ასიგნებაზე. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები. ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა ჯამში გაიზარდა 50,8 ათასი ლარით და შეადგინა 16754,6 ათასი ლარი. გამომსვლელის განცხადებით, პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზული ხასიათის შენიშვნები არ გააჩნია და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ლ. ცატავა, ი. გოგოლაძე, ფ. შონია, ი.სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. გაბუნია, დ. ბერაია - გამომსვლელები დაინტერესდნენ, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულებებში, რომლის საფუძველზე სახელწოდება ეცვლება სამსახურს, უქმდება სამსახურის ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილება და იქმნება ახალი, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება, გამომდინარე აქედან უხერხულობას ხომ არ შექმნის და უკანა პლანზე ხომ არ გადადის დევნილების საკითხი?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მისწერეს შესაბამის უწყებებს განყოფილებისთვის სახელის შეცვლასთან დაკავშირებით, მიიღეს პასუხი, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახური ემსახურება ყველა მიმართულებას და ეს არავითარ პრობლემას არ წარმოადგენდა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-3 საკითხთან

დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, 2020 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შედის საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, რომლის თანახმად, „მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი განხორციელების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში“. ამავე კანონის თანახმად, „მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ სულ მცირე ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი“. კანონის აღსრულებისთვის მზადების პროცესში, ქვეყნის მასშტაბით ერთიანი მიდგომებისთვის მუნიციპალიტეტების კოორდინაცია ხორციელდება საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მხრიდან, რომლის ფარგლებშიც მიღებულია რეკომენდაცია, ახალ თანამდებობებზე შესაბამისი კადრების მერიის ადამიანური რესურსებიდან შერჩევის შესახებ. კანონის ამოქმედების დროისთვის სათანადო სტრუქტურული მოწყობის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში 2020 წლის 1 ივლისს დაიწყო რეორგანიზაციის პროცესი. რეორგანიზაციის პირველ ეტაპზე - რეორგანიზაციის დაგეგმვის ეტაპზე შემუშავდა სათანადო წინადადებები, რომლის საფუძველზეც მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ, მიმდინარე პერიოდისთვის მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებების პროექტები „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების, ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკრებულოს დადგენილების პროექტით ცვლილება ხორციელდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიისა და მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის დებულებებში, რომლის საფუძველზე

სახელწოდება ეცვლება სამსახურს, უქმდება სამსახურის ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილება და იქმნება ახალი, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტით:

ა) მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურში უქმდება ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების განყოფილება და შესაბამისად, ამ განყოფილებაში არსებული 2 თანამდებობა.

იქმნება ახალი, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება რომელიც კომპლექტდება გაუქმებული განყოფილების 2 საშტატო ერთეულით, მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის გადმოტანით და ასევე დამატებით 1 საშტატო ერთეულით.

სამსახურში, გაუქმებული განყოფილებისთვის მიკუთვნებული ფუნქციების სხვა მოხელეებისთვის გადანაწილების მიზნით, ახალი განყოფილების გარეთ, სამსახურის უფროსის დაქვემდებარებაში ემატება 1 საშტატო ერთეული მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სახით, რისთვისაც მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში უქმდება კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობა (მიმდინარე პერიოდისთვის მოსალოდნელი ვაკანტური თანამდებობა).

ბ) მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განყოფილებას ემატება მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, რისთვისაც გათვალისწინებულია მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, ტრანსპორტის რეგულირებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების განყოფილებაში მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობის შემცირება, ხოლო ამ თანამდებობისთვის მიკუთვნებული ფუნქციების ამავე განყოფილების მესამე კატეგორიის

უფროსი სპეციალისტის თანამდებობისთვის მიკუთვნების გამო იზრდება ამ უკანასკნელის თანამდებობრივი სარგო.

საერთო ჯამში, ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულთა სახელფასო ფონდში არსებული ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპისთვის მერიის საშტატო ნუსხა იზრდება 1 საშტატო ერთეულით და ახალი განყოფილება კომპლექტდება 4 საშტატო ერთეულით, ნაცვლად კანონმდებლობითა და მიღებული რეკომენდაციებით გათვალისწინებული 7 საშტატო ერთეულისა. გამომსვლელის განცხადებით, მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით მიღება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 1 (დ. გაბუნია)

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. სერგია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N9 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. სერგია, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N10 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მიმდინარე წელს განხორციელდა პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის სახურავის დემონტაჟი, რის შედეგადაც მიღებულ იქნა 50 ცალი ვარგისი თუნუქის მეორადი შიფერი, რაზედაც გაგვაჩნია აუდიტორული დასკვნა. მათივე განმარტებით მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნულ შიფერს ვერ გამოიყენებს მისი ვარგისიანობიდან გამომდინარე, რის გამოც მიზანშეწონილად მიაჩნიათ აუქციონის წესით მისი

პრივატიზება. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 30, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ი. სერგია, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N17 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ წარმოდგენილ საკითხზე მსჯელობა იყო, როგორც საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში ასევე ბიუროზე და ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მერიისთვის თანხმობის მიცემა ქალაქ ხობში სკვერის ტერიტორიის, იჯარის წესით გასხვისების თაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ რამოდენიმე ეტაპად მიმდინარე სკვერის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები ჯერ არ არის დასრულებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების

მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმთან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება მდებარე ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N185-ში და ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციული შენობის ნაწილი არის დაუტვირთავი. მერიაში შესულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები აღნიშნული ფართების იჯარის წესით, სარგებლობის უფლების მოპოვების თაობაზე.

ასევე მერიაში შესულია განცხადება ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერის ტერიტორია) 60 კვმ ფართის იჯარა-აღნაგობის უფლებით გაცემაზე.

მერიის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქ. N185-ში მდებარე 34,1, 18,79 , 17,92 კვმ ფართების, ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 14 კვმ და ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 60 კვმ ფართის სარგებლობის უფლებით, იჯარით და იჯარა-აღნაგობის ფორმით, აუქციონის წესით გაცემა, თუმცა კომისიის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი საკითხი და ამ ეტაპზე მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული მერიისთვის თანხმობის მიცემა ქალაქ ხობში სკვერის ტერიტორიის, იჯარის წესით გასხვისების თაობაზე. გამომდინარე იქედან, რომ რამოდენიმე ეტაპად მიმდინარე სკვერის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულებული არ არის. სხვა მხრივ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი წინადადების თანახმად კორექტირებული განკარგულების პროექტის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტიდან ქ. ხობში ცოტნე დადიანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერის ტერიტორია) 60 კვმ ფართის იჯარა-აღნაგობის უფლებით გაცემაზე უარის თაობაზე

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, კ. ნასარაია, ფ. შონია, ი. ნადარაია)

კენჭი ეყარა წარმოდგენილ კორექტირებულ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, კ. ნასარაია, ფ. შონია, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N18 ოქმს თან ერთვის)

6. „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: ტ. ალექსანდრია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მ. ქარდავას განმარტებით მის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა გამოსულია მწყობრიდან, მისი შეკეთება დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რის გამოც გადაადგილდება უწევს სხვის საკუთრებაში არსებული ავტომანქანით, რომელიც ბენზინის საწვავზეა, ხოლო საკრებულოს მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისთვის გათვალისწინებულია დიზელის საწვავი. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მოითხოვა მისთვის გამოყოფილი ლიმიტის ფარგლებში დიზელის საწვავის ბენზინით შეცვლა და დადგენილი ლიმიტის 20 ლიტრით გაზრდა. ზემო აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომელიც წინასწარ ფინანსური კუთხით შეთანხმებულ იქნა წერილობით მერიის შესაბამის სამსახურთან. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი

აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტი დამტკიცდეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, კ. ნასარაია, ფ. შონია, ი. ნადარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N19 ოქმს თან ერთვის)

7. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წლის დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;

თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წლის დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 თებერვლის N59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დ. ბერაია - გამომსვლელი დაინტერესდა, თუ რა ეტაპზე იყო სოფლის მხარდაჭერის პროგრამებით გათვალისწინებული პროექტების განხორციელების პროცესი?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ წინა დღეს შემოვიდა პროექტები და უახლოეს დღეებში დაიწყებოდა შემდგომი პროცედურები.

კ. გოქაძე - გამომსვლელი დაინტერესდა თუ რა პროცესზე იყო პირველი ხორგის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის და ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის საკითხი?

ზ. ბუკია - გამომსვლელმა განმარტა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით პროექტები მომზადებულია და გადაგზავნილია ექსპერტიზაზე, რომელსაც მაქსიმუმ 45 დღე სჭირდება და დასკვნის მიღებისთანავე დაიწყებოდა შემდგომი პროცედურები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმთან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი ობიექტებისთვის გათვალისწინებულ ნუსხაში დამატებულ იქნა თანადაფინანსების თანხები, რის გამოც მერიის მიერ წარმოდგენილია განკარგულების პროექტი „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ N59 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილ განკარგულების პროექტში შეტანილ იქნა მცირეოდენი შესწორებები, რისი გათვალისწინებითაც კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია პროექტი დამტკიცებულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. ფულუა, კ. ნასარაია, ფ. შონია, ი. ნადარაია, ლ. ცატავა, ა. ქირია)

8. „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2020 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: შ. კანკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2020 წლის მუნიციპალური პროგრამის თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. გაბუნია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

დ. გაბუნია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2020 წლის მუნიციპალურ პროგრამაში, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო განხორციელდა ცვლილება, პროგრამის ბიუჯეტი 507600 ლარი შემცირდა 17594 ლარი და გადიდდა 61017 ლარით (თანხა დაემატა სარეზერვო ფონდიდან). შესაბამისად პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა **551023 ლარი.** ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით თანხა გადანაწილდა შემდეგნაირად: 29545 ლარით შემცირდა შემდეგი მუხლები:

1. მუხლი „უმწეოთა სასადილოს“ - 12594 ლარით;

2. მუხლი „ახალშობილთა ოჯახების დახმარება“ - 11000 ლარით;

3. მუხლი „შშმ პირთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსება“ - 3551 ლარით;

4. მუხლი „200 ათასი და ნაკლები სარეიტინგო ქულით სოციალურად დაუცველი მოქალაქეების შინმოვლის დახმარება“ - 2400 ლარით.

შესაბამისად გაიზარდა:

1. მუხლი „სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალების შეძენ“ - 11951 ლარით.

2. მუხლი „სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 ათას ქულას) კვებითი პროდუქტების შეძენა (კორონა ვირუსთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო)“ - **61017 ლარით.**

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მერიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2020 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 დეკემბრის N35 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია წარმოდგენილი სახით მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, კ. ნასარაია, ფ. შონია, ი. ნადარაია, ლ. ცატავა)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N21 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დასრულების შემდგომ სხდომის თავჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოში შემოსული იყო განცხადებით

მოქალაქე ლევან ჯობავა, რომელიც ითხოვდა საკრებულოს სხდომაზე განცხადების გაკეთებას და სიტყვა მისცა განმცხადებელს

ლ. ჯობავა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ქალაქის მთელ ტერიტორიაზე წაშლილია ე.წ. „ზებრა“ გადასასვლელები და ითხოვა შესაბამის სამსახურებს გამოესწორებინათ აღნიშნული პრობლემა. ასევე ისაუბრა ქალაქში ნაგვის ურნების ნაკლებობაზე და აღნიშნა, რომ ნაგავი მიმოფანტულია ნაგვის ურნებთან. გამომსვლელმა ასევე ისაუბრა მაწანწალა მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს პრობლემა ადრეც დააყენა საკრებულოს სხდომაზე და ჯერ კიდევ არსებობდა ეს პრობლემა, რომელიც როგორც მას ასევე ქალაქის მოსახლეობას აწუხებს.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა მერიის შესაბამის სამსახურებს, დროულად მოეგვარებინათ ქალაქში არსებული განმცხადებლის მიერ დასმული პრობლემები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2020 წლის 30 ივლისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ვლადიმერ ქანთარია
4. დავით ბერაია
5. ტარიელ ალექსანდრია
6. თეა გელანტია
7. დოდო გაბუნია
8. მერაბ ფილიპია
9. ბექა მამაცაშვილი
10. თენგიზ აბაკელია
11. გიგა ნასარაია
12. კოსტანტინე ნასარაია
13. დავით ცინაძე
14. რამინი ხილაძე
15. გოჩა სიჭინავა
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქამანაია
19. კახა მიქაბერიძე
20. შადიმან ჭილაია
21. ავთანდილ ხუნჯუა
22. გია წულაია
23. გოჩა ჯობავა
24. აკაკი ხურცილავა
25. იგორი გოგოლაძე
26. კობა გოქაძე
27. მზია ლემონჯარია
28. როლანდ სერგია
29. ირაკლი ნადარაია
30. ნიკოლოზ ვეკუა
31. მერაბ ნადარაია
32. ფრიდონ შონია